   ბურღვა ჩატარდეს თვითმავალი საბურღი დანადგარით „უგბ-1ვს“, მექანიკური სვეტური მეთოდით, დიამეტრით 160 მმ-მდე, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით;

2. ჭაბურღილებიდან აღებულ იქნეს ტერიტორიის ამგები გრუნტების ნიმუშები, სნ და წ 1.02.07-87-ის პ. 3.75 მოთხოვნის შესაბამისად;

3. გრუნტის წყლის გამოვლინების შემთხვევაში, ჭაბურღილებიდან აღებული იქნეს, სინჯები ქიმიური ანალიზებისთვის და რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ აგრესიული თვისებების დასადგენად.

წყლის სინჯების რაოდენობა აღებული იქნეს არანაკლები სამისა (სნ და წ 1.02.07-87 პ. 3.56).

ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, შედგეს საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში (დასკვნა), თანახმად სნ და წ 1.02.07-87-ის მე-9 დანართისა. აიკინძოს 2 ეგზემპლარად და შესრულდეს ჩატარებული კვლევის ელექტრონული ვერსია.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების
განყოფილების მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი

ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩასა და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე ტერიტორიაზე (ს/კ 01.14.15.001.389) მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

თავი I – შესავალი

შპს „ნუცუბიძე“-ს (დირექტორი იბრაიმ შალიკაძე) დაკვეთით (ხელშ. №129/2020), შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი”-ს საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილებამ, 2020 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, ზემოაღნიშნულ მისამართზე, ჩაატარა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა:

– სამშენებლო მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დახასიათება;
– დასაპროექტებელი კომპლექსის დაფუძნების საკითხის გადაწყვეტა.

ტექნიკური დავალების თანახმად, მოედანზე გათვალისწინებულია ერთი მაღლივი (30 სართული) შენობის, სარდაფის სამი სართულით და მის გარშემო სამსართულიანი შენობების (სარდაფის თითო სართულით) მშენებლობა.

ობიექტის დაწვრილებითი ტექნიკური მახასიათებლები, მოცემულია დართულ ტექნიკურ დავალებაში.

ზემოაღნიშნული მიზნების გადასაწყვეტად, ტექნიკური დავალების საფუძველზე შედგენილი მიწერილობის თანახმად, დასაპროექტებელი კომპლექსის კონტურის ფარგლებში, ტოპოგეგმაზე მონიშნულ ადგილებში, თვითმავალი საბურღი დანადგარით „უგბ-1ვს“, მექანიკური სვეტური მეთოდით, დიამეტრით 160 მმ-მდე, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით, გაიბურღა 9 ჭაბურღილი (ნაცვლად მიწერილობით გათვალისწინებული 10 ჭაბურღილისა), ერთ ჭაბურღილზე საბურღი დანადგარის მისვლა (თელასის ქვესადგურთან) ვერ მოხერხდა, ჯიხურის გადატანასთან დაკავშირებით მიწის სამუშაოების წარმოებისას გაყვანილი ღრმა თხრილების გამო და ეს უბანი დახასიათებულია არსებული გაშიშვლების (გაშიშვლ.№1) აღწერის საფუძველზე.

დანარჩენი ჭაბურღილები (9) გაიბურღა მიწერილობაში მითითებული მეთოდით, სიღრმით 13–20 მ. შესრულებული სამუშაოს მთლიანი მოცულობა 155,0 გრძ. მეტრია.

სამშენებლო ტერიტორიის ამგები გრუნტებიდან აღებულია:

– დელუვიური გენეზისის თიხოვანი გრუნტიდან – დაურღვეველი სტრუქტურის 6 ნიმუში (მონოლითი);

– ზედა ეოცენის ძირითადი ქანის გამოფიტული ფენიდან (ფენა 4) – დაურღვეველი სტრუქტურის 8 ნიმუში (4 არგილითიდან, 4 ქვიშაქვიდან);

– ზედა ეოცენის ნაკლებად გამოფიტული ფენიდან (ფენა 5) – დაურღვეველი სტრუქტურის 6 ნიმუში (3 არგილითიდან, 3 ქვიშაქვიდან).

ბურღვითი სამუშაოების დამთავრების შემდეგ, ჭაბურღილები ლიკვიდირებულია განაბურღი გრუნტით.

თიხოვანი და ძირითადი ქანების ნიმუშების შესწავლა, ჩატარდა განყოფილების გეოტექნიკურ ლაბორატორიაში, დ. ახობაძის ხელმძღვანელობით.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული 1:500 მასშტაბის ტოპოგეგმა, რომლიდანაც შესრულდა ჭაბურღილების გეგმურ-სიმაღლითი მიბმა და გეოლოგიური ჭრილების აგება.

საველე სამუშაოები ჩატარდა განყოფილების წამყვანი ინჟინერ გეოლოგის ნ. ილაშვილის ხელმძღვანელობით.

თავი II – საკვლევი მოედნის ზოგადი დახასიათება (მდებარეობა, კლიმატური პირობები, გეომორფოლოგია, ზოგადი გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები)

დასაპროექტებელი კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია, მდებარეობს ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩასა და ინტენსიფიკაციის გზას შორის (ს/კ 01.14.15.001.389), რომელსაც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება გაზაფხულის, ხოლო ჩრდილო-დასავლეთიდან – გურიელის ქუჩები. გაზაფხულის ქუჩის მხარეს, ციცაბო ფერდია (>30°).

სამშენებლო ტერიტორიას სამხრეთიდან ესაზღვრება – მოასფალტებული გზა. მოედნის ცენტრალური ნაწილი, დაკავებულია არსებული „T“-სებური კონფიგურაციის ერთსართულიანი შენობით, აღმოსავლეთიდან ნაწილობრივი სარდაფით. შენობა ექვემდებარება დემონტაჟს.

პნ 01.05-08-ის („სამშენებლო კლიმატოლოგია“) თანახმად, რაიონის (საბურთალოს) ძირითადი კლიმატური მახასიათებლები შემდეგია:

– საშუალო წლიური ტემპერატურა +12,2°C;

– ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი +40°C;

– ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი –23°C;

– ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 560 მმ;

– თოვლის საფარის წონა – 0,50 კპა;

– თოვლის საფარის დღეთა რიცხვი – 14;

– ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ – Wo=0,85 კპა;

– ქარის უდიდესი სიჩქარე, შესაძლებელი 20 წელიწადში ერთხელ – 37 მ/წმ;

– ქარის გაბატონებული მიმართულება – ჩრდილოეთის და ჩრდილო-დასავლეთის;

– გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – არ გააჩნია.

გეომორფოლოგიურად, სამშენებლო მოედანი წარმოადგენს ნაყარი გრუნტით შევსებულ, ძველი განამარხებული ხევის მარჯვენა ბორტის მიმდებარე ტერიტორიის და ლისის ქედის სამხრეთი ფერდის ცენტრალურ ნაწილს, დამრეცად დახრილი რელიეფით სამხრეთისკენ, რომლის აბსოლუტური ნიშნულები სამშენებლო მოედნის კონტურის საზღვრებში, მერყეობენ 504,0–511,0 მ-ის ფარგლებში.

სამშენებლო მოედნის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ: ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანები და მათი მფარავი მეოთხეული (dQIV) თიხოვანი და ტექნოგენური (tQIV) გრუნტები.

ტექტონიკურად, მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია განთავსებულია ლისის ანტიკლინის სამხრეთი ფრთის დაახლოებით შუა ნაწილში. ლისის ანტიკლინის სამხრეთი ფრთა, განვითარებულია ზედა ეოცენის ძირითადი ქანებით აგებულ მონოკლინურ ნაოჭში, ცალკეულ ადგილებში ფლექსურული გაღუნვებით.

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ, საკვლევი ტერიტორია, მიწისქვეშა წყლების არსებობით, გამოკვლეულ სიღრმემდე (20 მ), არ ხასიათდება, თუმცა არ არის გამორიცხული სიღრმეში ნაპრალოვანი წყლების გამოჩენა, რაც დამახასიათებელია ანალოგიური ძირითადი ქანებისთვის.

თავი III – ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

III1 – ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის მონაცემების მიხედვით, შედგენილია ჭაბურღილების სვეტების და საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანები და მათი მფარავი დელუვიური (dQIV) თიხოვანი და ტექნოგენური (tQIV) გრუნტები.

ტექნოგენური გრუნტი – ნაყარი, წარმოდგენილია: სამშენებლო ნაგვის, კენჭების, ღორღის და თიხოვანი გრუნტის სუსტად შეკავშირებული ნარევით (ფენა 1), სიმძლავრით 0,60–2,0 მ.

ნაყარი 0,60–2,0 მ-ის სიღრმიდან იცვლება დელუვიური (dQIV) გენეზისის, მყარი კონსისტენციის, კარბონატული მარილების უხვი შემცველობის, ხვინჭის იშვიათი ჩანართებიანი, მოყვითალო – ყავისფერი თიხნარით (ფენა 2), რომლის მაქსიმალური სიმძლავრე (6,7 მ) დაფიქსირდა ჭაბ.№3-ით.

თიხოვან გრუნტებს (ფენა 2) ფართო გავრცელება არ აქვთ, ფიქსირდებიან მხოლოდ ჭაბ.№№2, 3, და 7-ში, სამშენებლო მოედნის ჩრდილოეთ ნაწილში.

დანარჩენი ჭაბურღილების მონაცემებით, ნაყარის (ფენა 1) ქვეშ გავრცელებულია ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანი – არგილითები, ქვიშაქვების თხელი შუაშრეებით, გათიხებული, ძლიერ გამოფიტული (ელუვირებული ზონა, ფენა 3) რომლის სიმძლავრე მერყეობს 1,2–6,6 მ-ის ფარგლებში.

ძლიერ გამოფიტული ზონა 6,2–11,3 მ-ის სიღრმიდან იცვლება იგივე გენეზისის ძირითადი ქანით – არგილითები, თიხოვანი ქვიშაქვების თხელი შუაშრეებით, მოლურჯო-რუხი შეფერილობის, გამოფიტული არგილითების სიჭარბით ≈80% (ფენა 4), რომლის სიმძლავრე 4,6–7,0 მ-ია.

გამოფიტული არგილითები შემოფენილია იგივე გენეზისის ნაკლებად გამოფიტული არგილითებით თიხოვანი ქვიშაქვების თხელი შუაშრეებით, არგილითების სიჭარბით ≈70% (ფენა 5). აღნიშნული ფენის ხილული სიმძლავრე 2,7–8,0 მ-ია.

სიღრმის ზრდასთან ერთად გამოფიტვის ხარისხი მცირდება და ქვიშაქვების პროცენტული შემცველობა ზოგ ადგილებში 40%-ს აღწევს.

ძირითად ქანებში, არგილითების ტექსტურა თხელშრეებრივია (3–5 სმ), ზოგან ფურცლოვანი, ქვიშაქვებისა 8–10 სმ.

ძირითადი ქანების წოლის ელემენტები, მახლობელი გაშიშვლებების მიხედვით, შემდეგია: დაქანების აზიმუტი ს.ა. 160–165°, შრეების დახრის კუთხე 28–34°.

ძირითადი ქანების დახრა, გეოლოგიურ ჭრილებზე დატანილია წოლის ელემენტებით, ჭრილის ხაზების და მიმართების აზიმუტის გადაკვეთის მიხედვით, სათანადოდ შესწორებული კუთხეებით (გამოყენებულია ვ. ობრუჩევის შემასწორებელი კუთხეების ცხრილი).

III2 – ჰიდროგეოლოგიური პირობები

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ, ტერიტორია მიწისქვეშა წყლების არსებობით, გამოკვლეულ სიღრმემდე (20 მ), არ ხასითდება. მხოლოდ ღრმა ჭაბურღილების (20 მ) ძირში, შეინიშნებოდა მცირე სისველე, თუმცა ჭაბურღილებში დღის განმავლობაში წყალი არ ჩამდგარა.

არ გამოირიცხება სიღრმეში, ნაპრალოვანი წყლების გამოჩენა, რაც დამახასიათებელია, ანალოგიური ძირითადი ქანებისთვის.

თავი IV. – გრუნტების ლაბორატორიული შესწავლის შედეგები

როგორც შესავალში აღინიშნა, სამშენებლო მოედნის ამგები გრუნტებიდან, ჭაბურღილებიდან აღებული იქნა დაურღვეველი სტრუქტურის 24 ნიმუში (4 დარღვეული, 20 დაურღვეველი), აქედან:

– ფენა 2-ის თიხოვანი გრუნტიდან დაურღვეველი სტრუქტურის 6 ნიმუში (მონოლითი);

– ფენა 3-ის ძლიერ გამოფიტული არგილითებიდან დარღვეული სტრუქტურის 4 ნიმუში;

– ფენა 4-ის არგილითებიდან 4 ნიმუში, ქვიშაქვებიდან 4, დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუშები;

– ფენა 5-ის არგილითებიდან 3 ნიმუში, ქვიშაქვებიდან 3, დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუშები.

თიხოვან გრუნტზე (ფენა 2) განისაზღვრა ფიზიკური მახასიათებლების სრული კომპლექსი (6 განსაზღვრა) და დამარილიანების ხარისხი.

ქვემოთ, ცხრილ 1-ში მოცემულია კრებსითი ცხრილიდან ამოკრებილი ფენა 2-ის თიხოვანი გრუნტის მახასიათებლების მნიშვნელობების ცვალებადობის დიაპაზონი და გამოთვლილია საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები.

ცხრილი 1

№	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებულ მნიშვნელობათა დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა
1	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	–	0,9–0,13	0,11
2	ტენიანობა		W	%	10,5–14,5	12,7
3	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ³	1,87–1,96	1,92
		მშრალი გრუნტის	ρ_d		1,63–1,74	1,70
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2,69–2,70	2,69
4	ფორიანობა		n	%	35,6–39,3	36,9
5	ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,554–0,647	0,586
6	დენადობის მაჩვენებელი		I_L	–	-0,59 -0,29	-0,49
7	ტენიანობის ხარისხი		S_r	–	0,49–0,64	0,59

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, გამოკვლეული ფენა 2-ის გრუნტი პლასტიკურობის რიცხვის ($\overline{I_p}$=0,11) მიხედვით – თიხნარია, დენადობის მაჩვენებლის ($\overline{I_L}$=-0,49) მიხედვით – მყარი კონსისტენციისაა, ტენიანობის ხარისხის ($\overline{Sr}$=0,59<0,80) მიხედვით, გრუნტის ფორები არასრულად არის გაჯერებული წყლით.

ლაბორატორიაში შესწავლილი იქნა აგრეთვე ძირითადი ქანების (ფენები 4 და 5) მდგენელი ფენების (არგილითი, ქვიშაქვა) სიმკვრივე ρ და სიმტკიცის ზღვრები. სიმტკიცე განისაზღვრა „Controls"-ის ფირმის ხელსაწყოზე).

ქვემოთ, ცხრილ 2-ში, მოცემულია გამოკვლეული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრების მნიშვნელობები.

ცხრილი 2

№	გრუნტის დასახელება	ჭაბ.№ / ადების სიღრმე	სიმკვრივე ρგ/სმ³	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე R_c მპა		დარბილ. კოეფიციენტი
				ბუნებრივი მდგომარეობაში	წყალნაჯერი მდგომარეობა	
1	არგილითი (ფენა 4)	2 / 10.0	2,04	2,6	1,5	0,58
2		5 / 10.2	2,06	2,4	1,3	0,54
3		7 / 9.5	2,03	2,4	1,0	0,42
4		10 / 9.0	2,00	2,0	1,3	0,57
საშუალო მნიშვნელობა			2,03	2,3	1,3	0,53
5	ქვიშაქვა (ფენა 4)	2 / 12.0	2,29	15,8	13,8	0,87
6		2 / 10.0	2,25	13,3	11,3	0,85
7		5 / 11.5	2,28	11,7	9,8	0,84
8		10 / 11.0	2,22	14,0	11,4	0,81
საშუალო მნიშვნელობა			2,26	13,7	11,5	0,84
9	არგილითი (ფენა 5)	3 / 15.0	2,22	7,1	5,3	0,75
10		6 / 13.5	2,09	5,3	3,3	0,62
11		10 / 14.0	2,17	6,0	3,8	0,63
საშუალო მნიშვნელობა			2,16	6,1	4,1	0,67
12	ქვიშაქვა (ფენა 5)	3 / 17.0	2,38	19,0	16,5	0,87
13		6 / 17.0	2,31	15,9	14,5	0,91
14		10 / 16.5	2,36	14,4	13,3	0,92
საშუალო მნიშვნელობა			2,35	16,4	14,8	0,90

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, გამოკვლეული გრუნტები მიეკუთვნებიან:

ფენა 4-ის არგილითი – დაბალი სიმტკიცის $\overline{R}c$=1,3 მპა, ნახევრადკლდოვან გრუნტს. სიმკვრივე ρ=2,0–2,06 გ/სმ³, $\overline{\rho}$=2,03 დარბილებადობის კოეფიციენტი – 0,53 (დარბილებადი).

ფენა 4-ის ქვიშაქვა – მცირე სიმტკიცის $\overline{R}_C$=11,4 მპა კლდოვან გრუნტს. სიმკვრივე ρ=2,22–2,29 გ/სმ³, $\overline{\rho}$=2,26 დარბილებადობის კოეფიციენტი – 0,84 (არადარბილებადი).

ფენა 5-ის არგილითი – დაქვეითებული სიმტკიცის $\overline{R}_C$=4,1 მპა, ნახევრადკლდოვან გრუნტს. სიმკვრივე ρ=2,09–2,22 გ/სმ³, $\overline{\rho}$=2,16 გ/სმ³ დარბილებადობის კოეფიციენტი – 0,67 (დარბილებადი).

ფენა 5-ის ქვიშაქვა – მცირე სიმტკიცის $\overline{R}_C$=14,8 მპა კლდოვან გრუნტს. სიმკვრივე ρ=2,31–2,38 გ/სმ³, $\overline{\rho}$=2,35 გ/სმ³, დრეკადობის კოეფიციენტი $E_დ$=1645,0 მპა (საარქივო მასალა), დარბილებადობის კოეფიციენტი – 0,90 (არადარბილებადი).

განხილულიდან ჩანს, რომ ძირითადი ქანების მორიგეობაში (ფენები 4 და 5) მდგენელი შრეების არგილითების და ქვიშაქვების სიმტკიცის ზღვრები განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

ძირითადი ქანების მთლიანი მასივისთვის, არგილითების სიჭარბიდან გამომდინარე (70–80%), სიმტკიცის ზღვრის რეკომენდებისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს მორიგეობის უფრო სუსტ მდგენელს – არგილითს (სიმტკიცის მახასიათებლების საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია დასკვნითი ნაწილის ცხრილში).

დასახელებული გრუნტების კვლევის პარალელურად, განისაზღვრა მათი დამარილიანების ხარისხიც. მიღებული შედეგების თანახმად:

ფენა 2-ის თიხნარში და ძირითადი ქანების (ფენები 3, 4 და 5) მდგენელი ფენის – არგილითებში, ადვილად და საშუალოდ ხსნადი მარილების ჯამური შემცველობა:

– თიხნარებისთვის 1,6–2,5%-ია, საშუალო მნიშვნელობა – 2%;

– არგილითისთვის 2,2–2,9%, საშუალო მნიშვნელობა – 2,5%.

არგილითისთვის მეტია 2%-იან კრიტერიუმზე და გრუნტს მიაკუთვნებს დამარილიანებულის კატეგორიას, თიხნარი (ფენა 2) – არადამარილიანებულია (<5%).

თავი – V. დასკვნა და რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევების საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, გეოლოგიური და გეომორფოლოგიური ფაქტორებიდან გამომდინარე, საკვლევი ტერიტორია დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან ადგილზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევა და სხვა) არ არის განვითარებული.

   ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტის (არგილითის) დამარილიანება და უბნის ჩრდილოეთით ციცაბო (>30°) ფერდის არსებობა, არახელსაყრელ ფაქტორებს წარმოადგენენ სამშენებლო მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შეფასებისას.

   ზემოთ ჩამოთვლილი არახელსაყრელი ფაქტორების გათვალისწინებით, სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის).

2. ტერიტორიის ამგებ გრუნტებში, სამშენებლო თვისებების მიხედვით, გამოიყოფა ოთხი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი **(სბე):**

   I სბე – თიხნარი (ფენა 2);

   II სბე – ძირითადი ქანი – ფენა 3-ის არგილითები და ქვიშაქვები ძლიერ გამოფიტული, ელუვირებული ზონა;

   III სბე – ძირითადი ქანი არგილითების სიჭარბით (ფენა 4), გამოფიტული;

   IV სბე – ძირითადი ქანი არგილითების სიჭარბით (ფენა 5), ნაკლებად გამოფიტული.

   მცირე სიმძლავრის ნაყარი (ფენა 1) ქვაბულით მოსახსნელია და **სბე**-ად არ განიხილება.

3. ტერიტორიის გეოლოგიური აგებულებიდან და დასაპროექტებელი შენობის ტექნიკური მახასიათებლებიდან (30 სართულიანი, გარშემო 3 სართულიანი), მაღლივი (30 სართული) შენობის დაფუძნებისთვის მისაღებია **IV** სბმ-ს (ფენა 5) გრუნტი, დაბალსართულიანი შენობებისთვის **II** (ფენა 3) და **III** (ფენა 4) სბმ-ბის გრუნტები. საძირკვლის ტიპებად მიღებული იქნეს: პირველ შემთხვევაში (მაღლივისთვის) – ფილა-ხიმინჯოვანი, მეორე შემთხვევაში – ჩვეულებრივი ნებისმიერ (ლენტური, ცალკემდგომი ფილა).

4. ფუძის ანგარიშისთვის, ქვემოთ, ცხრილში, მოცემულია ყველა აუცილებელი საანგარიშო-ნორმატიული მნიშვნელობები ოთხივე სბმ-ის გრუნტისთვის, მიღებული ლაბორატორიული კვლევების, ნორმატიული დოკუმენტების და საარქივო მასალების მონაცემების გამოყენებით.

გრუნტების საგების და პუასონის კოეფიციენტების საანგარიშო მნიშვნელობები, აღებულია „დამპროექტებლის საანგარიშო-თეორიული ცნობარი“-დან და „ტექნიკოს-გეოლოგის ცნობარი“-დან.

დრეკადობის მოდული არგილითისთვის, აღებულია საარქივო მასალებიდან (საარქივო მასალა ერთვის დასკვნას).

ცხრილი 3

№	გრუნტის მახასიათებელი	საანგარიშო მნიშვნელობები			
		I სგე (ფენა 2)	II სგე (ფენა 3)	III სგე (ფენა 4)	IV სგე (ფენა 5)
1	სიმკვრივე, ρ გ/სმ³	1,92	2,0	2,03	2,16
2	ხვედრითი შეჭიდულობა c კპა(კგ/სმ²)	34(0,34)	–	–	–
3	შინაგანი ხახუნის კუთხე, φ°	24	–	–	–
4	დეფორმაციის მოდული, E მპა (კგ/სმ²)	25(250)	30(300)	–	–
5	საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგ/სმ²)	250(2,5)	350(3,5)	–	–
6	სიმტკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_{c,n}$ კპა (კგ/სმ²)	–	–	1300(13)	4100(41)
7	დრეკადობის მოდული $E_დ$ მპა	–	–	>1000	1645,0
8	საგების კოეფიციენტი, k კგ/სმ³	3,0	10,0	20,0	40,0
9	პუასონის კოეფიციენტი, μ	0,35	0,27	0,25	0,20
10	ბეტონის გრუნტზე ხახუნის კოეფიციენტი f_n	0,45	0,55	0,65	0,70

შენიშვნა: ძირითადი ქანების მორიგეობის (ფენა 4 და 5) არგილითების სიჭარბიდან გამომდინარე, ცხრილში მოცემულია მორიგეობის უფრო სუსტი მდგენელის – არგილითის სიმტკიცის მახასიათებლები.

5. მაღლივი შენობისთვის გათვალისწინებული იქნეს ქარის უდიდესი სიჩქარე, შესაძლებელი 20 წელიწადში ერთხელ – 37 მ/წმ. ქარის გაბატონებული მიმართულება – ჩრდილო-დასავლეთის.

6. გრუნტების – არგილითების სულფატური დამარილიანების გამო, დასაპროექტებელ ნაგებობათა მიწისქვეშა კონსტრუქციებისთვის, გამოყენებული იქნეს სულფატომედეგი ცემენტების სახეებზე დამზადებული ბეტონები.

7. პნ 01.01-09 („სეისმომედეგი მშენებლობა“) თანახმად, ქ. თბილისი მდებარეობს 8 ბალიანი სეისმურობის ზონაში.

ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები, სეისმური თვისებების მიხედვით, მიეკუთვნებიან:

ა) ნაყარი (ფენა 1) – III კატეგორიას;

ბ) დანარჩენი გრუნტები (ფენები 2, 3, 4 და 5) – II კატეგორიას.

სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი თბილისის ზონისთვის A=0,17.

შენიშვნა: დასაპროექტებელი შენობის სართულიანობა (30 სართული), აღემატება პნ 01.01-09-ის მე-8 ცხრილში მოცემული შენობების სართულიანობას და მხედველობაში იქნეს მიღებული ამავე ცხრილის მე-4 შენიშვნა. სეისმურობა განისაზღვროს შენობის სართულიანობის და კონსტრუქციული ტიპის მიხედვით.

8. ქვაბულის ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა, ტერიტორიის ამგები გრუნტებისთვის, მიღებული იქნეს სნ და წ 3.02.07-87-ის 3.11 და 3.15 პუნქტების, აგრეთვე სნ და წ III-4-80-ის მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

შენიშვნა: 5 მ-ზე ღრმა ქვაბულის ამოღებისას, უნდა შესრულდეს ჩამოჭრილი ფერდის გამაგრებითი სამუშაოები (ხიმინჯოვანი, ნარანდი).

9. დამუშავების სიძნელის მიხედვით, სამშენებლო მოედანზე გავრცელებული გრუნტები, სნ და წ IV–2–82 I–I ცხრილის თანახმად, მიეკუთვნებიან:
   ა) ნაყარი (ფენა 1) – სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1800 კგ/მ^3 (რიგ. №24^ა);
   ბ) თიხნარი (ფენა 2) – ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით დამუშავებისას – III ჯგუფს, ბულდოზერით – II ჯგუფს, სიმკვრივით 1920 კგ/მ^3 (რიგ. №33^ბ);
   გ) ძირითადი ქანი ძლიერ გამოფიტული (ელუვიონი ფენა 3) – ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით დამუშავებისას – V–Vp ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 2100 კგ/მ^3 (რიგ. №№3^ა, 28^ა);
   დ) ძირითადი ქანი (ფენები 4 და 5) – ხელით დამუშავებისას – VI ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 2180 კგ/მ^3 (რიგ. №№3^ბ, 28^ბ);

12. ბურღვით-ნატენი ხიმინჯების გამოყენებისას, გრუნტების კლასიფიკაცია ჯგუფების მიხედვით, ბურღვის მეთოდის და სიძნელის, აგრეთვე მათი მდგრადობიდან გამომდინარე, აიღება ამავე ნორმატიული დოკუმენტის მე-4 კრებულის („ჭაბურღილები“) 4–5 და 4–6 ცხრილებიდან.

წამყვანი ინჟინერ გეოლოგი  ნ. ილაშვილი

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების მთავარი გეოლოგი  ა. პასიკაშვილი

ცხრ. №1

შპს „ახალი საქალაქმშენპროექტი" საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილება					გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები ობიექტის დასახელება: ქ. თბილისი. ნუცუბიძის ქუჩასა და ინტენსიფიკაციის გზას შორის (ს.კ. 01.14.15.001.389) მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი																	გეოტექნიკური ლაბორატორია ქ. თბილისი შარტავას ქ. №43დ
რიგითი №	გამონამუშ. №	აღების სიღრმე	ნიმუშის სტრუქტურა	ლაბ. №	პლასტიკურობა: დენადობის ზღვარი	პლასტიკურობა: პლასტიკურ. ზღვარი	პლასტიკურობა: რიცხვი	ბუნებრივი ტენიანობა	სიმკვრივე: გრუნტის	სიმკვრივე: მშრალი გრუნტის	სიმკვრივე: გრუნტის ნაწილაკების	ფორიანობა	ფორიანობის კოეფ-ტი: საწყისი	ფორიანობის კოეფ-ტი: დენადობის ზღვარზე	დენადობის მაჩვენებელი	ტენიანობის ხარისხი	წინასწარი შეჯასების მაჩვენებელი	დამარილიანების ხარისხი	ადვილად და სა-შუალოდ ხსნადი მარილების ჯამუ-რი შემცველობა	თაბაშირის შემცველობა	კარბონატების შემცველობა	გრუნტის დასახელება
		h			W_L	W_p	I_p	W	ρ	ρ_d	ρ_s	n	e	e_L	I_L	S_r	I_{ss}	D_{sal}	-	$CaSO_4 \cdot 2H_2O$	$CaCO_3$	
		მ			-	-	-	%	გ/სმ^3			%	-	-	-	-	-		%	%	%	
1	ჭაბ. №2	2.5	მონ.	979	0.29	0.19	0.10	13.5	1.95	1.72	2.69	36.1	0.566	0.780	-0.55	0.64	0.14	არა დამ.	1.6	0.9	5.0	თიხნარი
2		6.0	დარღ. სტრ.	980														დამ.	2.2	1.3	4.0	არგილითი
3	ჭაბ. №3	2.7	მონ.	983	0.26	0.17	0.09	11.7	1.92	1.72	2.69	36.1	0.565	0.699	-0.59	0.56	0.09					თიხნარი
4		5.0	მონ.	984	0.30	0.18	0.12	14.5	1.87	1.63	2.69	39.3	0.647	0.807	-0.29	0.60	0.10	არა დამ.	2.5	1.6	6.0	თიხნარი
5		7.3	მონ.	985	0.30	0.19	0.11	13.4	1.90	1.68	2.70	37.9	0.611	0.810	-0.51	0.59	0.12					თიხნარი
6	ჭაბ. №4	4.0	დარღ. სტრ.	988														დამ.	2.9	1.8	4.5	არგილითი
7	ჭაბ. №7	2.0	მონ.	993	0.28	0.17	0.11	10.5	1.89	1.71	2.69	36.4	0.573	0.753	-0.59	0.49	0.11	არა დამ.	1.9	1.2	5.5	თიხნარი
8		3.7	მონ.	994	0.31	0.18	0.13	12.8	1.96	1.74	2.70	35.6	0.554	0.837	-0.40	0.62	0.18					თიხნარი
9		5.5	დარღ. სტრ.	995														დამ.	2.5	1.7	4.0	არგილითი
10	ჭაბ. №10	4.0	დარღ. სტრ.	998														დამ.	2.5	1.6	4.0	არგილითი

ინჟინერი მ. ჯარბაძე   წამყვანი ინჟინერ ქიმიკოსი ნ. სურგულაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

შპს „ახალი საქართველოს საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილება	კლდოვანი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები	გეოტექნიკური ლაბორატორია ქ. თბილისი შარტავას ქ. №43დ
	ობიექტის დასახელება: ქ. თბილისი. ნუცუბიძის ქუჩასა და ინტენსიფიკაციის გზას შორის (ს.კ. 01.14.15.001.389) მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	

რიგითი №	გამონამუშევრის №	ალების სიღრმე	გამოცდის ტიპი	ლაბ. №	სიგანე	დიამეტრი	ფართობი	ექვივალენტური კერნის დიამეტრი		მოცულობითი წონა	სიმტკიცის ინდექსი	კორექტირების კოეფ-ტი	კორექტირებული სიმტკიცის ინდექსი	კოეფ-ტი	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე (ბუნ.)	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე (წყალგაჯ.)	სიმკვრივე	ბრუნტის დასახელება
		h			W	D	A	D_e^2	D_e	P	I_s	F	$I_{s(50)}$	C	$Rc\ (\delta_{uc})$	$Rc\ (\delta_{uc})$	ρ	
		მ			მმ	მმ	მმ^2	მმ^2	მმ	კნ	მპა	-	მპა	-	მპა	მპა	გ/სმ^3	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
1	ჭაბ. №2	10.0	ძ-არასწორი ფორმის	981	70.8	32.2	2279.76	2902.68	53.88	0.301	0.10	1.03	0.11	24.0	2.6	-	2.04	არგილითი
2			ძ-არასწორი ფორმის		61.3	30.2	1851.26	2357.10	48.55	0.160	0.07	0.99	0.07	23.0	-	1.5		
3		12.0	ძ-არასწორი ფორმის	982	72.3	36.0	2602.80	3313.99	57.57	2.005	0.61	1.07	0.64	24.5	15.8	-	2.29	ქვიშაქვა
4			ძ-არასწორი ფორმის		60.3	40.6	2448.18	3117.12	55.83	1.707	0.55	1.05	0.58	24.0	-	13.8		
5	ჭაბ. №3	15.0	ძ-არასწორი ფორმის	986	62.3	29.7	1850.31	2355.89	48.54	0.733	0.31	0.99	0.31	23.0	7.1	-	2.22	არგილითი
6			ძ-არასწორი ფორმის		52.2	28.8	1503.36	1914.14	43.75	0.489	0.26	0.94	0.24	22.0	-	5.3		
7		17.0	ძ-არასწორი ფორმის	987	85.6	40.4	3458.24	4403.17	66.36	3.005	0.68	1.14	0.78	24.5	19.0	-	2.38	ქვიშაქვა
8			ძ-არასწორი ფორმის		75.5	45.6	3442.80	4383.51	66.21	2.608	0.59	1.13	0.68	24.5	-	16.5		
9	ჭაბ. №5	10.2	ძ-არასწორი ფორმის	989	65.3	33.5	2187.55	2785.28	52.78	0.277	0.10	1.02	0.10	24.0	2.4	-	2.06	არგილითი
10			ძ-არასწორი ფორმის		55.2	29.9	1650.48	2101.46	45.84	0.133	0.06	0.96	0.06	22.0	-	1.3		
11		11.5	ძ-არასწორი ფორმის	990	74.9	40.9	3063.41	3900.46	62.45	1.909	0.49	1.11	0.54	24.5	13.3	-	2.25	ქვიშაქვა
12			ძ-არასწორი ფორმის		80.4	44.3	3561.72	4534.93	67.34	1.823	0.40	1.14	0.46	24.5	-	11.3		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
13	ჭაბ. №6	13.5	ძ-არასწორი ფორმის	991	50.9	30.0	1527.00	1944.24	44.09	0.500	0.26	0.95	0.24	22.0	5.3		2.09	არგილითი
14			ძ-არასწორი ფორმის		59.8	40.6	2427.88	3091.28	55.60	0.407	0.13	1.05	0.14	24.0	-	3.3		
15		17.0	ძ-არასწორი ფორმის	992	90.8	50.0	4540.00	5780.51	76.03	3.100	0.54	1.21	0.65	24.5	15.9	-	2.31	ქვიშაქვა
16			ძ-არასწორი ფორმის		70.7	50.3	3556.21	4527.91	67.29	2.344	0.52	1.14	0.59	24.5	-	14.5		
17	ჭაბ. №7	9.5	ძ-არასწორი ფორმის	996	66.9	22.7	1518.63	1933.58	43.97	0.219	0.11	0.94	0.11	22.0	2.4	-	2.03	არგილითი
18			ძ-არასწორი ფორმის		70.0	20.7	1449.00	1844.93	42.95	0.092	0.05	0.93	0.05	21.0	-	1.0		
19		11.0	ძ-არასწორი ფორმის	997	79.6	55.6	4425.76	5635.06	75.07	2.244	0.40	1.20	0.48	24.5	11.7	-	2.28	ქვიშაქვა
20			ძ-არასწორი ფორმის		77.6	45.5	3530.80	4495.56	67.05	1.569	0.35	1.14	0.40	24.5	-	9.8		
21	ჭაბ. №10	9.0	ძ-არასწორი ფორმის	999	71.4	25.5	1820.70	2318.19	48.15	0.201	0.09	0.98	0.09	23.0	2.0	-	2.00	არგილითი
22			ძ-არასწორი ფორმის		60.9	22.6	1376.34	1752.41	41.86	0.118	0.07	0.92	0.06	21.0	-	1.3		
23		11.0	ძ-არასწორი ფორმის	1000	80.2	51.1	4098.22	5218.02	72.24	2.521	0.48	1.18	0.57	24.5	14.0	-	2.22	ქვიშაქვა
24			ძ-არასწორი ფორმის		69.0	39.7	2739.30	3487.79	59.06	1.500	0.43	1.08	0.46	24.5	-	11.4		
25		14.0	ძ-არასწორი ფორმის	1001	59.4	35.3	2096.82	2669.76	51.67	0.691	0.26	1.01	0.26	23.0	6.0	-	2.17	არგილითი
26			ძ-არასწორი ფორმის		70.7	25.6	1809.92	2304.46	48.00	0.387	0.17	0.98	0.16	23.0	-	3.8		
27		16.5	ძ-არასწორი ფორმის	1002	91.7	51.8	4750.06	6047.97	77.77	2.905	0.48	1.22	0.59	24.5	14.4	-	2.36	ქვიშაქვა
28			ძ-არასწორი ფორმის		68.8	41.2	2834.56	3609.08	60.08	1.798	0.50	1.09	0.54	24.5	-	13.3		

ინჟინერი მ. ჭარბაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

სსიპ გ.წულუკიძის სამთო ინსტიტუტი
ქანების, საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის განყოფილება

ვამტკიცებ
ინსტიტუტის დირექტორი
პროფესორი

ნ. ჩიხრაძე

14 ივლისი 2014 წ

სამუშაოს ანგარიში
შესრულებულია #14-18/ 08 ხელშეკრულების საფუძველზე

სამუშაოს ხელმძღვანელი,
განყოფილების უფროსი,
დოქტორი გ. ბალიაშვილი

კონსტრუქტორი გ. გელაშვილი

თბილისი 2014 წ

1.სამუშაო შესრულებულია შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი"-სთან გაფორმებული #14-18/08 ხელშეკრულების და „დამკვეთის" #ად-66 (10/07/14) წერილის დანართის საფუძველზე;

2. გამოცდილი ნიმუშები აღებული და წარმოდგენილია დამკვეთის მიერ ;

3. შედეგები მოცემულია ცხრილ 1-6–ში;

4. ნიმუშის წარმომავლობაზე ინსტიტუტი პასუხს არ აგებს.

გამოყენებული სტანდარტი

1. ГОСТ 5180-84 გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების განსაზღვრის ლაბორატორიული მეთოდები;
2. ГОСТ 21153,2-84 სიმტკიცის განსაზღვრის მეთოდი ქანების ერთღერძა შეკუმშვაზე ;
3. ГОСТ 28985-91 ქანების დეფორმირებული მახასიათებლების კვლევა ერთღერძა შეკუმშვაზე;
4. ГОСТ 24941-81 სფერული ინდენტორებით დატვირთვის მეთოდით ქანების მექანიკური თვისებების დადგენა;
5. ГОСТ 25100-95 გრუნტების კლასიფიცირება.

ცხრილი 1. ქანის თვისებების საშუალო მნიშვნელობები

ქანის სახეობა	ნიმუშის #	ჭაბურღილის #	სიღრმე მ	სიმტკიცე მგპა		დარბილების კოეფიციენტი	დრეკადობის მოდული, მგპა (წყალნაჯერი ნიმუშები)	სიმკვრივე გ/სმ³
				ოთახის ტემპერატურის	წყალნაჯერი			
არგილითი	1	1	8,0	7,2	4,1	0,57	1565,8	2,29
არგილითი	2	1	12,0	10,7	6,2	0,58	1629,3	2,34
ქვიშაქვა	3	1	13,0	26,9	16,4	0,61	2135,2	2,44
არგილითი	4	1	16,0	11,7	7,0	0,60	1739,7	2,35
ქვიშაქვა	5	1	16,5	30,3	18,8	0,62	2359,5	2,46
ქვიშაქვა	6	1	18,0	36,1	22,4	0,62	3131,3	2,48

ცხრილი 2. ქანების კლასიფიცირება ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მიხედვით

ნიმუშის #	სიმტკიცის მიხედვით (წყალნაჯერი)	სიმკვრივის მიხედვით	დარბილების მიხედვით
1	დადაბლებული სიმტკიცის[1]	მკვრივი[4]	დარბილებადი
2	ნაკლებად მტკიცე[2]	მკვრივი[4]	არადარბილებადი
3	საშუალო სიმტკიცის[3]	მკვრივი[4]	დარბილებადი
4	ნაკლებად მტკიცე[2]	მკვრივი[4]	დარბილებადი
5	საშუალო სიმტკიცის[3]	მკვრივი[4]	არადარბილებადი
6	საშუალო სიმტკიცის[3]	მკვრივი[4]	დარბილებადი

შენიშვნა: 1– შვიდრეიტინგიან კლასიფიცირებაში სიმტკიცის შემცირების მიხედვით მეხუთე რეიტინგის; 2-მეოთხე რეიტინგის; 3-მესამე რეიტინგის; 4– ოთხრეიტინგიან კლასიფიცირებაში სიმკვრივის შემცირების მიხედვით მეორე რეიტინგის

ცხრილი 3. სიმკვრივე ნიმუშების მიხედვით

ნიმუ-შის #	გამოცდილი ნიმუშის #	მასა გ			მოცულობა სმ³		სიმკვრი-ვე გ/სმ³
		ჰაერში	პარაფინით		პარაფი-ნის	ნიმუ-შის	
			ჰაერში	წყალში			
1	1	39,87	43,07	22,11	3,55	17,41	2,29
	2	40,00	43,61	22,21	4,01	17,39	2,30
2	1	41,15	44,75	23,31	4,00	17,44	2,36
	2	42,03	45,81	23,65	4,20	17,96	2,34
3	1	50,24	54,74	29,15	5,00	20,59	2,44
	2	51,12	55,71	29,66	5,10	20,95	2,44
4	1	35,88	39,06	20,33	3,53	15,20	2,36
	2	36,00	39,56	20,28	3,96	15,32	2,35
5	1	50,00	54,51	29,34	5,01	20,16	2,48
	2	52,15	56,85	30,26	5,22	21,37	2,44
6	1	49,65	54,03	29,38	4,87	19,78	2,51
	2	46,53	50,61	27,09	4,53	18,99	2,45

ცხრილი 4. სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა შეკუმშვაზე და დრეკადობის მოდული

ნიმუშის #	გამოცდილი ნიმუშის #	სიგრძე სმ	სიგანე სმ	სიმაღლე სმ	ფართობი სმ²	მასშტაბური კოეფიციენტი	მრღვევი ძალა კგძ	სიმტკიცე მგპა	დრეკადობის მოდული მგპა	მდგომარეობა გამოცდისას
1	1	3,12	3,13	3,14	9,77	0,80	840	7,0	-	ოთახის ტემპერატურის
	2	3,11	3,12	4,80	9,70	0,93	480	4,7	1565,8	წყალნაჯერი
	3	3,15	3,16	3,17	9,95	0,80	500	4,1	-	
2	1	3,16	3,17	3,18	10,02	0,80	1320	10,7	-	ოთახის ტემპერატურის
	2	3,16	3,16	3,17	9,99	0,80	740	6,0	-	წყალნაჯერი
	3	3,11	3,12	4,85	9,70	0,93	660	6,4	1629,3	
3	1	3,29	3,30	3,31	10,86	0,80	3530	26,5	-	ოთახის ტემპერატურის
	2	3,30	3,30	3,32	10,89	0,80	3630	27,2	-	
	3	3,31	3,32	3,31	10,99	0,80	3680	27,3	-	
	4	3,32	3,33	3,34	11,06	0,80	3610	26,6	-	
	5	3,34	3,34	6,01	11,16	0,97	1780	15,8	2135,2	წყალნაჯერი
	6	3,32	3,33	3,33	11,06	0,80	2170	16,0	-	
	7	3,31	3,32	5,84	10,99	0,96	1840	16,4	-	
	8	3,30	3,31	3,32	10,92	0,80	2280	17,0	-	
	9	3,33	3,34	3,33	11,12	0,80	2290	16,8	-	
4	1	3,02	3,03	3,04	9,15	0,80	1230	11,0	-	ოთახის ტემპერატურის
	2	3,03	3,03	4,90	9,18	0,94	720	7,5	1739,7	წყალნაჯერი
	3	3,06	3,08	3,09	9,43	0,80	750	6,5	-	
5	1	3,35	3,36	3,37	11,26	0,80	4180	30,3	-	ოთახის ტემპერატურის
	2	3,36	3,37	3,39	11,32	0,80	4350	31,0	-	
	3	3,34	3,35	3,36	11,19	0,80	4060	29,6	-	
	4	3,32	3,33	5,67	11,06	0,96	2080	18,4	2359,5	წყალნაჯერი
	5	3,32	3,32	333	11,02	0,80	2600	19,2	-	
	6	3,30	3,31	3,32	10,92	0,80	2490	18,6	-	
	7	3,34	3,35	6,03	11,19	0,97	2150	19,0	-	
6	1	3,29	3,30	3,31	10,86	0,80	4790	36,0	-	ოთახის ტემპერატურის
	2	3,28	3,30	3,31	10,82	0,80	4800	36,2	-	
	3	3,28	3,31	3,32	10,86	0,80	4890	36,7	-	
	4	3,29	3,30	3,31	10,86	0,80	4730	35,5	-	
	5	3,30	3,30	4,98	10,89	0,92	2560	22,0	3131,3	წყალნაჯერი
	6	3,28	3,29	5,37	10,79	0,95	2540	22,8	-	
	7	3,31	3,32	3,33	10,99	0,80	3100	23,0	-	
	8	3,32	3,33	3,34	11,06	0,80	2960	21,8	-	

ცხრილი 5- სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა შეკუმშვაზე სფერული ინდენტორების მეთოდით

ნიმუშის #	გამოცდილი ნიმუშის						
	#	მანომეტრის ჩვენება, დანაყოფი	მრღვევი ძალა, კგძ	რღვევის ფართობი, სმ²	სიმტკიცე, მგპა		მდგომარეობა გამოცდის დროს
					გაჭიმვაზე	შეკუმშვაზე	
1	1	9	67	10,0	0,46	7,4	ოთახის ტემპერატურის
	2	9,5	70	11,0	0,45	7,2	
	3	4	30	9,5	0,22	3,5	წყალნაჯერი
	4	5	37	10,0	0,26	4,1	
2	1	13,5	103	10,5	0,69	11,0	ოთახის ტემპერატურის
	2	13	96	10,3	0,65	10,4	
	3	7,5	55	8,2	0,44	7,0	წყალნაჯერი
	4	5,5	40	7,6	0,34	5,4	
4	1	15,5	121	11,0	0,77	12,3	ოთახის ტემპერატურის
	2	15	117	11,5	0,73	11,7	
	3	8	60	8,6	0,46	7,4	წყალნაჯერი
	4	8	60	9,8	0,42	6,7	

ცხრილი 6 ნიმუშების გამოცდა დეფორმირებაზე

ნიმუში #1.2			ნიმუში #2.2			ნიმუში #3.5			ნიმუში #4.2			ნიმუში #5.4			ნიმუში #6.5		
F	I	II	F	I	F	I	II	II	F	I	II	F	I	II	F	I	II
10	0	0	10	0	0	50	0	0	10	0	0	50	0	0	0	0	0
50	4	3	50	2	3	100	1	1	50	2	3	100	1	1	50	2	1
100	5	5	100	5	5	200	2	2	100	4	5	200	2	2	200	4	2
150	6	6	150	6	7	400	7	7	150	7	7	400	3	4	400	7	4
200	7	7	200	7	8	600	12	12	200	8	8	600	7	8	600	10	7
250	8	8	250	8	9	800	17	17	250	9	9	800	11	12	800	12	10
300	10	10	300	9	10	1000	22	22	300	10	10	1000	15	16	1000	14	13
350	12	12	350	11	12	1200	27	27	350	11	11	1200	20	20	1200	16	16
400	14	14	400	13	14	1400	32	32	400	13	13	1400	25	25	1400	19	19
450	18	19	450	15	16	1600	38	37	450	15	15	1600	30	30	1600	22	22
500	26	27	500	17	18	1780	46	45	500	17	17	1800	36	35	1800	25	25
			550	20	21				550	19	19	2000	43	42	2000	29	29
			600	24	25				600	22	23	2080	51	50	2200	34	33
			650	30	31				650	26	28				2400	40	39
			660	37	39				700	31	34				2560	48	48
									720	40	41						

შენიშვნა : F-ძალაა, კგძ; I- II შესაბამისად, პირველი და მეორე საათის ტიპის ინდიკატორების (სიზუსტე 0,01 მმ) ჩვენებაა, დანაყოფებში; (1 დანაყოფი= 0,01 მმ-ს).


გეგმა
მ. 1:500
13 ქ.ა
10 ქ.ა
16 ქ.ა
16 ქ.ა
12 ქ.ა
3ქ.ს
ქ.ა
ასფალტის გზა
ბეტონი
შენობა ბეტონის ქვეშ
სკვერი
ჭაბ.№1
ჭაბ.№2
ჭაბ.№3
ჭაბ.№4
ჭაბ.№5
ჭაბ.№6
ჭაბ.№7
ჭაბ.№8
ჭაბ.№9
ჭაბ.№10
ფურცელი №1
478600
4619650

გაშიშვლება №1

რიგითი №№	ფენის სიღრმე დან	ფენის სიღრმე მდე	ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული 509.00	ჭრილი მ-ბი 1:100	კონსისტენცია (ფენიანობა)	გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი გამ.	გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი დამყ.
1	0.00	2.00	2.00	507.00		მყარი		
2	2.00	9.00	7.00	500.00				

ჭაბ. №2

რიგითი №№	ფენის სიღრმე დან	ფენის სიღრმე მდე	ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული 510.70	ჭრილი მ-ბი 1:100	კონსისტენცია (ფენიანობა)	გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი გამ.	გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი დამყ.
1	0.00	1.20	1.20	509.50		მყარი		
2	1.20	3.10	1.90	507.60				
3	3.10	7.80	4.70	502.90				
4	7.80	13.00	5.20	497.70				

ჭაბ. №3

რიგითი №№	ფენის სიღრმე დან	ფენის სიღრმე მდე	ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული 508.10	ჭრილი მ-ბი 1:100	კონსისტენცია (ფენიანობა)	გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი გამ.	გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი დამყ.
1	0.00	1.30	1.30	506.80		მყარი		
2	1.30	8.00	6.70	500.10				
3	8.00	9.20	1.20	498.90				
4	9.20	13.80	4.60	494.30				
5	13.80	20.00	6.20	488.10				

ჭრცელი №2

ჭაბ. №4

ნომერი №№	ფენის სიღრმე		ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული	ჭრილი მ-ბი 1:100	კონსისტენცია (ფენიანობა)	ბრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი	
	დან	მდე		511.40			გამ.	დამყ.
1	0.00	0.60	0.60	510.80				
2	0.60	6.80	6.20	504.60				
3	6.80	11.30	4.50	500.10				
4	11.30	14.00	2.70	497.40				



ჭაბ. №5

ნომერი №№	ფენის სიღრმე		ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული	ჭრილი მ-ბი 1:100	კონსისტენცია (ფენიანობა)	ბრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი	
	დან	მდე		511.00			გამ.	დამყ.
1	0.00	0.60	0.60	510.40				
2	0.60	6.50	5.90	504.50				
3	6.50	13.50	7.00	497.50				
4	13.50	20.00	6.50	491.00				



ჭაბ. №6

ნომერი №№	ფენის სიღრმე		ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული	ჭრილი მ-ბი 1:100	კონსისტენცია (ფენიანობა)	ბრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი	
	დან	მდე		510.00			გამ.	დამყ.
1	0.00	2.00	2.00	508.00				
2	2.00	7.30	5.30	502.70				
3	7.30	12.40	5.10	497.60				
4	12.40	20.00	7.60	490.00				



ფურცელი №3

ჭაბ. №7

რიგითი №№	ფენის სიღრმე		ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული	ჭრილი მ-ბი 1:100	კონსისტენცია (ფენიანობა)	გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი	
	დან	მდე		509.20			გამ.	დამწ.
1	0.00	1.20	1.20	508.00				
2	1.20	4.20	3.00	505.00		მყარი		
3	4.20	7.20	3.00	502.00				
4	7.20	12.00	4.80	497.20				
5	12.00	20.00	8.00	489.20				

ჭაბ. №8

რიგითი №№	ფენის სიღრმე		ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული	ჭრილი მ-ბი 1:100	კონსისტენცია (ფენიანობა)	გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი	
	დან	მდე		508.70			გამ.	დამწ.
1	0.00	1.20	1.20	507.50				
2	1.20	6.60	5.40	502.10				
3	6.60	11.20	4.60	497.50				
4	11.20	15.00	3.80	493.70				

ჭაბ. №9

რიგითი №№	ფენის სიღრმე დან	ფენის სიღრმე მდე	ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული 509.60	ჭრილი მ-ბი 1:100	კონსისტენცია (ტენიანობა)	გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი გამ.	გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი დამყ.
1	0.00	1.00	1.00	508.60	1			
2	1.00	7.60	6.60	502.00	3			
3	7.60	13.00	5.40	496.60	4			

ჭაბ. №10

რიგითი №№	ფენის სიღრმე დან	ფენის სიღრმე მდე	ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული 509.00	ჭრილი მ-ბი 1:100	კონსისტენცია (ტენიანობა)	გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი გამ.	გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი დამყ.
1	0.00	1.30	1.30	507.70	1			
2	1.30	6.20	4.90	502.80	3			
3	6.20	12.30	6.10	496.70	4			
4	12.30	20.00	7.70	489.00	5			



გამონამუშევრის№№	ჭაბ.№2	ჭაბ.№3	I
მიწის ზედაპირის ნიშნულები	510.70	508.10	502.40
მანძილი მ-ში	29.50	6.50	

ფურცელი №6

ჭრილი 4 – 5 – 7 – II

მ. 1:100



ნამუშევრის №	ჭაბ.№4	ჭაბ.№5
ს ზედაპირის ნიშნულები	511.40	511.00
ოლი მ-ში	16.00	35.50

ჭრილი 4 – 5 – 7 – II

მ. 1:100



ჭაბ.№7 | II

509.20 | 508.00 | 502.00

4.00 | 2.00

35.50

ფურცელი №7

ჭრილი 8 – 10

მ. 1:100

ჭა

1

507.50

3

502.10

4

497.50

5

493.70

507.

502.

496.

489.

ჭაბ.№8

ჭაბ.№10

508.70

510.00

510.60

509.00

11.00

14.00

14.50

ფურცელი

ჭრილი 4 – 8

მ. 1:100



გამონამუშევ.№№	ჭაბ.№4				ჭაბ.№8
მიწის ზედაპირის ნიშნულები	511.40	511.40	511.00		508.70
მანძილი მ-ში		1.20	7.50	18.00	

ფურცელი №9

ჭრილი 2 – 5 – 8

მ. 1:100



2 – 5 – 8

1:100


510.40
1
507.50
3
504.50
502.10
4
497.50
497.50
5
493.70
491.00
ჭაბ.№5
511.00
511.00
511.00
ჭაბ.№8
508.70
4.00
8.50
21.00
შურფი №10

ჭრილი 6 – 9

მ. 1:100

ძა



ჭაბ.№6

510.00

6.00

510.00

2.50

510.50

7.50

510.50

14.00

510.40

11.00

ჭაბ.№9

509.60

ჭ რ 0 ლ 0 6 – 9

მ. 1:100

ძა



ჭაბ.№9

510.00	510.50	510.50	510.40	509.60
	2.50	7.50	14.00	11.00

შურფი №11

ჭ რ ი ლ ი გაშ.№1 – 3 – 7 – 10

მ. 1:100



გაშ.№1	ჭაბ.№3	ჭაბ.№
505.90	508.10	509
19.50	19.00	



ფურცელი №12

პ ი რ ო ბ ი თ ი ა ღ ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

tQ_{IV}  ნაყარი - სამშენებლო ნაბვის, კენჭების, ღორღის და თიხოვანი ბრუნტის სუსტად შეკავშირებული ნარევი

dQ_{IV}  თიხნარი ყავისფერი, კარბონატული, მყარი კონსისტენციის, ხვინჭის იშვიათი ჩანართებით

P_2^3  ძირითადი ქანი – არგილითები, ქვიშაქვების თხელი შუაშრეებით, გათიხებული, ძლიერ გამოფიტული

 ძირითადი ქანი – არგილითები მოლურჯო-რუხი შეფერილობის, თიხოვანი ქვიშაქვების თხელი შუაშრეებით, გამოფიტული

 ძირითადი ქანი – არგილითები მოლურჯო-რუხი შეფერილობის, თიხოვანი ქვიშაქვების თხელი შუაშრეებით, ნაკლებად გამოფიტული

 ბრუნტის ნიმუშის აღების ადგილი

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	ქ. თბილისი ნუცუბიძის ქუჩის და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე ტერიტორიაზე (ს/კ 01.14.15.001389) მრავალ-სართულიანი საცხოვრებელი სახლი	შპს „ახალი საქმალაქმშენპროექტი" ქ. თბილისი ქ. შარტავას ქ. №43 e-mail: geo.logi@yahoo.com
განყ.უფროსი	ზ. კვაჭანტირაძე			
მთ.გეოლოგი	ა. პასიკაშვილი			
ინჟ.გეოლოგი	ნ. ილაშვილი			
ინჟ.გეოლოგი	მ. ბურდული		ჭაბურღილების და უბნის გეოლოგიური ჭრილების პირობითი აღნიშვნები	*დკმ. №129/2020*
				ფურცელი 13 / ფურცლები 13

საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩასა და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე ტერიტორიაზე (ს/კ 01.14.15.001.389) მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ჩატარებულისაინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები“.

შპს „ნუცუბიძე“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2020 წლის 21 ოქტომბერს შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩასა და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე ტერიტორიაზე (ს/კ 01.14.15.001.389) მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩასა და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე ტერიტორიაზე (ს/კ 01.14.15.001.389) მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2020 წლის ოქტომბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინრ-გეოლოგი ნ. ილაშვილი.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 14 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე---------- 6 გვ.
4. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
5. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 4 ფურც.
6. მოედნის გეოლოგიური ჭრილი---------- 7 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 30 სართულიანი, რუსული „Г“-ს ფორმის საცხოვრებელი სახლი, სამი სართული სარდაფით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 9 ჭაბურღილი, სიღრმით 13-20 მ. საერთო მოცულობა შეადგენს 155.0 მეტრს. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები გრუნტის თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

ატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი;
2. ფენა 2 – თიხნარი, მყარი კონსისტენციის;
3. ფენა 3 – ძირითადი ქანი, არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, (გამოყოფილია ორი ფენა, ძლიერ და სუსტად გამოფიტული;
4. ფენა 4 – ძირითადი ქანი, არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, სუსტად გამოფიტული.

ანგარიშში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. პირველი ფენა ნაყარი გრუნტია, რომელიც შენობის ფუძედ არ გამოდგება და ამიტომ მისი თვისებები არ გამოკვლეულა. შემდეგი ფენა თიხნარებია, ისინი ბუნებრივ პირობებში მშრალ მდგომარეობაში არიან, რამაც განაპირობა კიდევაც მათი შედარებით მაღალი სიმტკიცის მაჩვენებლები. მომდევნო ფენა ძირითადი ქანებია, არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა. გამოფიტვის ხარისხის მიხედვით გამოყოფილია ორი ფენა: გამოფიტული და ნაკლებად გამოფიტული არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა. ანგარიშში მოცემულია ორივე ფენის საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება და მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. ძირითადი ქანების წოლის ელემენტებია: მიმართების აზიმუტი სამხრეთ-აღმოსავლეთი 160-165^0, ხოლო დახრის კუთხეა 28-34^0, როგორც ავტორი აღნიშნავს ტერიტორია საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით მდგრადია და რაიმე საშიში გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ზვავი, სუფოზია, კარსტი და სხვა) განვითარება არ არის მოსალოდნელი.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩასა და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე ტერიტორიაზე (ს/კ 01.14.15.001.389) მრავალსართულიანი, მრავალბინანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ჭოხონელიძე